№ 2736

ორშაბათი,

7 თებერვალი

ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

№ 736

ორშაბათი,

7 თებერვალი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავ ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნეინა თამარ ივანეს ასული სუმბათაშვილისა შვილითურთ და კნეინა დარია გულბაათის ასული შალიკაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მოულოდნელ გარდაცვალებას პირველი—შვილისა, მეორე—შვილიშვილისა, ტვერის დრაგუნთა მე-43 პოლკის პორუჩიკის

ᲗᲐᲕᲐᲓ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

განსვენებული გარდაიცვალა დედოფლის წყაროში 31 იანვარს ღამეს. დაკრძალვა ორშაბათს, 7 თებერვალს, დილის 9 საათზე, საგვარეულო აკლდამაში, შორე წმ. ბარბარეს ეკკლესიაში, ნავთლუღს (2—2)

მარიამ დავითის ასული გიგაძისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თავის საყვარელ მეუღლის

ზაქარია ივანეს ძის გიგაძის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ ორშაბათს, 7 თებერვალს, დილით 9 საათზე, პრიუტის ქუჩა, № 5. (2—6.—2)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ. ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ. (ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ)

ხუთშაბათს, 10 თებერვალს **ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ ᲢᲐᲡᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ** ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ**

ᲞᲔᲞᲔᲚᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

კომედ. 4 მოქ. თხზ. ზუდერმანისა, თარ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

მორიგი რეჟისორი: Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

კავკასიის **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,— ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **ᲘᲐᲤᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასები ულაპარაკოდ. (150—7)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

[illegible] დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Ვ. Ი. ᲭᲘᲨᲘᲜᲐᲫᲔ. კბილის 8—9 საათ.

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘ. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

Ა. Ი. ᲐᲚᲐᲯᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ბავშვებისა. 9½—10½ ს.

Ნ. Ტ. ᲘᲝᲚᲘᲜᲘ.—ყურისა, ხახისა და ცხვ. 10—11.

Ი. Დ. ᲓᲐᲛᲐᲨᲘᲫᲔ.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.

ᲔᲥ. ᲥᲐᲚᲘ Ი. Ქ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

Ქ. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

Ს. Ხ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.—ხირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სისტემატიურ ავადმყოფს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეოთხე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ხიდის ქუჩიდან-კი 34 Б.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ი. Ა. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲝᲕᲘ

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდი.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ნ. ᲗᲔᲗᲠᲐᲫᲔ

სოლდბანია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგანს, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—94)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—9)

კბილის ექიმი

ᲘᲕᲐᲜᲔ Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ Ხ. Რ. ᲥᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გადავიდა **ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ** წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—20)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Გ. Ა. ᲒᲔᲓᲐᲚᲘᲜᲘ

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—32)

Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Გ. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში, კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—4

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲐᲚ. ᲡᲝᲚᲝᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი [illegible] № 12 „კრუჟოკის“ გვერდით. (6.—30)

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Მ. Ი. ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით.

Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ს. Ი. ᲖᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საშარდი) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარცელოვის სახლი. (30—0101—24).

ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲡ

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—23)

ახლად დაბეჭდილი

ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐᲞ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—5)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ როგორც ბაქოდან დეპეშით გვატყობინებენ, ადგილობრივ ბულვარში **სომხებსა და თათრებს დიდი შეტაკება** მოსვლიათ. დაწვრილებითი ამბები ჯერ არ მოგვსვლია.

✦ 5 თებერვალს, ნაშუადღევს, ალექსანდრე-ნეველის ტაძარში ექსარხოსისა და ეპისკოპოსების მიერ გარდახდილ იქმნა **პანაშვიდი** ახლად გარდაცვლილ **დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დეკ. ვოსტორგოვმა სიტყვა წარმოსთქვა.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 23 იანვარს ტფილისში **გაფიცულმა მუშებმა მანიფესტაცია გამართეს**. ოფიციალურ გაზ. „კავკაზში“ უკვე იყო მოკლედ აღნიშნული, რა მოხდა ამ დღეს. ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის განკარგულებით, მთელი ამ საქმის გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს რიბინსკის. ადმინისტრაციამ ამ დღეს სამოცზე მეტი კაცი დააპატიმრა. ბ-ნმა რიბინსკიმ ოცზე მეტი დაპატიმრებული, როგორც სრულიად უდანაშაულონი, უკვე გაანთავისუფლა საპყრობილიდან.

✦ ტფილისის **ქალაქის საბჭოს** დღევანდელს კრებაზე განსახილველად აქვს 55 ძველი და ახალი საქმე. სხვათა შორის, საბჭომ უნდა განიხილოს 46 ხმოსნის წინადადება—განთავისუფლებულ იქმნენ მეეზოვენი საპოლიციო სამსახურისაგან; 33 ხმოსნის წინადადება—ფულით შემწეობა აღმოუჩინოს 23 იანვარს მომხდარ ამბის დროს დაჭრილთა და დაშავებულთა სახლობებს; განცხადებას ხმ. ნ. თამამშევისას—გაეგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის თანაგრძნობითი დეპეშა სამსახურის თავის დანებებისა გამო და სხვა.

✦ ისე დღე არ გაივლის, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე **რაიმე უბედურება არ მოხდეს** ლიანდაგების გაფუჭების გამო. ამისათვის რკინის გზის მემანქანეებს უბრძანეს, მისახვევ-მოსახვევ ადგილებსა და მეტადრე, სადგურ ციხიდან შორაპნამდე ნელა იარეთ და საათში ათ ვერსზე მეტს ნუ გაივლითო. ტფილისიდან ხაშურამდე გააძლიერეს ლიანდაგის ყარაულთა რიცხვიც.

✦ მთავრობის მიერ, შეკრებილ ცნობებით, **გაფიცვის დროს** ცეცხლისაგან ბაქოში განადგურდა 1½ მილიონ მანეთის ნავთი.

✦ 5 თებერვალს ტფილისის საბჭოს **დარბაზში შეიკრიბნენ** ტფილისის ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებათა მოხელენი, ქალაქის სკოლების გამგენი და მასწავლებელნი, სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის მოსამსახურენი, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტები და სხვანი, სულ 300 კაცი. კრებას უნდა მოელაპარაკნა თავიანთი მოსამსახურეთა საჭიროებაზე. პირველად კრებამ თათბირი იქონია განსაკუთრებულ ბიუროს დაარსების საჭიროების შესახებ. ბიუროს მიენდობა ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა მდგომარეობის შესწავლა და გამგეობისადმი ამის შესახებ ცნობების წარდგენა. კრებამ საჭიროდ სცნო ასეთ ბიუროს დაარსება. კარგა ხანს კამათი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა საამხანაგო სასამართლოს დაარსების შესახებ. დასასრულ კრებამ აარჩია შვიდის კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალება მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ მოხსენების შედგენა. მოხელეთა საზოგადო კრება მოისმენს, ხელს მოაწერს და შემდეგ დაავალებს თვისვე წარმომადგენლებს წარუდგინოს იგი ქალაქის მოურავს.

✦ როგორც „ტიფლ. ლისტ.“-ი გადმოგვცემს, კავკასიის [illegible] მებაღეებსა და მეღვინეებს განუზრახავთ პეტერბურგში განსაკუთრებულ საწყობის გამართვა, სადაც **გაიყიდება კავკასიური ხილი და ღვინო.** სადგომი საწყობისათვის უკვე დაუქირავებიათ პეტერბურგში.

✦ ტფილისის მეოთხე ნაწილის ბოქაული ბაწურინი და მეშვიდე ნაწილისა—გომელაური ერთი მეორეს ადგილზე იქნება გადაყვანილი.

✦ ჩვენ გვატყობინებენ ქვალონიდან, რომ როდესაც „ტუზაკში“ ვაგონებს ტვირთავდნენ შუშით რკინის გზისთვის და სამოცდა ხუთი მუშა მუშაობდა, ვიღაც სამი შეიარაღებული კაცი დაესხა, ორ მუშას სცემა და შემდეგ სროლა დაუწყო. მუშები ყველანი გაიქცნენ და მუშაობაზე უარი სთქვეს.

✦ კალავერანი (ყარსის გზა). 3 თებერვალს, ნაშუაღამევის 11 საათზე, ვიღაც ბოროტ-გამძრახველთ დაელაგათ ლიანდაგზე დრეზინა. იმ დროს უნდა გამოევლო საფოსტო მატარებელს № 76, მაგრამ ჯერ გამოირა ორთქლმავალმა და დაეჯახა. უბედურება არა მომხდარა-რა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ როგორც ქუთ. გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, სამინისტროს შეუწყნარებია ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ შემოღებულ იქმნას ქალაქის სასარგებლოდ ქუთაისში რკინის გზით შემოტანილ-გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადი. პირობები შემდეგია: 1. გადასახადი შემოღებულ იქმნება 5 წლით, მაგრამ შეიძლება ეს გადასახადი შეწყვეტილ იქმნას ხსენებულ ვადის გასვლამდისაც, თუ შემოსავალი სულ 14,000 მანეთამდის ავიდა. 2. საფუთო გადასახადიდან შემოსული ფული უნდა მოხმარდეს რკინის გზის სადგურისაკენ მიმავალ ქუჩების შეკეთებას; ასეთ ქუჩებად აღნიშნულია: ა) ტვირთის საზიდი ქუჩა 150 საჟენის მანძილზე, ბ) ძველი ტფილისის ქუჩა—475 საჟენზე, გ) ხოპიორის ჩასავალი 270 საჟენზე, დ) კარლოვსკი ჩასავალი—125 საჟენზე და ე) ორპირის ქუჩა—263 საჟენის მანძილზე. რაღაც მიზეზის გამო სრულიად [illegible] ტფილისის ქუჩა, რომელსაც [illegible] ვერ ასცდება [illegible] გზით [illegible] საქონელი. 3. საფუთო გადასახადი უნდა იქმნეს არა უმეტეს ½ კაპ. 4. ქალაქის გამგეობა ცალკე ინახავს ხსენებულ გადასახადიდან შემოსულ ფულს. ამ ფულის დახარჯვა ქუჩების შესაკეთებლად შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ვრცელს გეგმას შეადგენს ქუჩების შეკეთებისას და ამ გეგმას დაამტკიცებს ადგილობრივ საქალაქო საქმეთა საკრებულო გზთა მინისტრის წარმომადგენლის თანადასწრებით და სხვა.

✦ როგორც გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან, სამინისტროს შეუწყნარებია თავად-აზნაურთა შუამდგომლობა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში უფროს კლასების მომატების შესახებ და ნება დაურთავს გაიხსნას სასწავლებელში ჯერჯერობით მეხუთე და მეექვსე კლასი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეხლა მაინც არ გახდება უფროს კლასების გახსნის წინააღმდეგი ოლქის მზრუნველი.

✦ ქუთათურმა ფარმაცევტებმა, სხვათა შორის, შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს მეაფთიაქეებს თავიანთს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: შემოღებულ იქმნას აფთიაქში მოსამსახურე პირთა დღეში ორჯერ შეცვლა; ფარმაცევტებს მიეცეთ თვეში ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასად 30 მანეთი; აფთიაქის მოწაფეებს მიეცეთ ჯამაგირად პირველ წელს თვეში 10 მან., მეორე წელს—15 მანეთი და მესამე წელს—25 მანეთი; პროვიზორის თანაშემწეთ მიეცეთ პირველ წელს თვეში 45 მანეთი, მეორე წელს—50 მანეთი და მესამეს—55 მან.; აფთიაქში არ უნდა იღებდნენ შტატს გარეშე მოსამსახურეთ უჯამაგიროდ; ავადმყოფობის დროს მოსამსახურეებს ერთი თვის განმავლობაში ეძლიოთ სრული ჯამაგირი და ადგილიც არ დაეკარგოთ; მოსამსახურეს დათხოვნის დროს უნდა მიეცეს ერთი თვის ჯამაგირი და მასთან ერთი თვით ადრეც უნდა გამოუცხადონ დათხოვნა და სხვა. ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა გამო სხდომა ჰქონდა ქალაქის სააფთიაქო კომისიას, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ კერძო მეაფთიაქენიც. კომისიამ მეაფთიაქეებთან ერთად შესაძლებლად სცნო სრულიად დაეკმაყოფილებინა ფარმაცევტების მოთხოვნილებანი, გარდა მეორე მუხლისა, სადაც ისინი თხოულობდნენ ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასად თვეში 30 მანეთს; ნაცვლად 30 მანეთისა შესაძლებლად სცნეს მისცენ თვეში 25 მანეთი. ორი-სამი დღის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ფარმაცევტები ისევ დაუბრუნდნენ აფთიაქებს.

✦ ქუთათური ვაჭრები და ნოქრებიც შეთანხმდნენ, რადგან უკანასკნელთა მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნა. სხვათა შორის, დაადგინეს, რომ საქმე დღეებში ვაჭრობა სწარმოებდეს მაღაზიებში 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდის დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდის და 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდის დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის. კვირა-უქმე დღეებში-კი სავაჭროები მთელის დღით უნდა დაიკეტოს.

✦ 31 იანვარს ქალაქის საბჭომ მხოლოდ რამდენისამე კერძო თხოვნის განხილვა მოასწრო. საყურადღებო საკითხების განხილვას-კი ვერ შეუდგა, რადგან კრებას ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო. ხმოსანმა ბ. პ. მოსეშვილმა სამართლიანი საყვედური განაცხადა იმ ხმოსანთა მიმართ, რომელნიც მეტად საყურადღებო საკითხებსაც-კი ასე გულცივად ეკიდებიან და საბჭოს კრებებს არ ესწრებიან.

✦ ქუთაისში მომხდარ არეულობით ისარგებლეს მეეტლეებმა და ეტლებზე დაწესებულ ხიდის ბაჟზედ უარი განაცხადეს. არეულობა ეხლა თუმცა დაწყნარდა, მაგრამ მეეტლენი მაინც არ ემორჩილებიან ქალაქის სავალდებულო დადგენილებას და არ იხდიან ხიდის ბაჟს. ამის გამო ქალაქის გამგეობა იძულებული გახდა ხიდებზე ბაჟის ამკრეფთ გარდა დაეყენებინა საგანგებო დარაჯები, რომელთაც განსაკუთრებული ნიშნები ჰკიდიათ გულზე.

საზღვარ-გარედ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, ბოლო დროს რუსეთიდან მიღებულმა ამბებმა ძლიერ ააღელვა საზოგადოდ საფრანგეთისა და კერძოდ პარიზის საზოგადოება და პარიზში გადასწყვიტეს დაარსონ განსაკუთრებული ბიურო, სადაც შეკრებილ იქმნება ნამდვილი, შემოწმებული ცნობები რუსეთის ცხოვრების შესახებ. სააგენტოების ოფიციალურ ცნობებს ფრანგები ეჭვის თვალით უცქერიან. ფრანგებმა კარგად იციან, რომ ოფიციალურ ცნობებს სათავეში უდგას რუსეთის ცხოვრების გამგე—მთავრობის მოხელე—ბიუროკრატი „ჩინოვნიკი“, ქვეყნის თვით-ნება მოურავი, რომლის დანიშნულებაა—ბატონობა და ქვეყნის საქმის ვითარება გადამახინჯებით აჩვენოს, ისე წარმოუდგინოს საქმე, რომ მის ბიუროკრატიულ ღირსებას ბევრი არაფერი ევნოს.

ბიუროს დაარსების მოთავეებად პარიზის ცნობილი ფრანგი ქალები არიან: ალიონ მენარი განსვენებულ სახელ-განთქმულ მწერლის ერნ რენანის ქალიშვილი—ნოემა ფსიხარი და ემი ზოლას ქვრივი. ბიუროს დამაარსებელ საზოგა დოების თავმჯდომარედ იქნება საფრანგეთის სახელ-განთქმული მწერალი ანატოლ ფრანსი. ბიურო დრო-გამოშვებით გამოსცემს პარიზ ცალკე ფურცლებს, სადაც მოთავსებული იქნებ ნამდვილი ცნობები რუსეთის ცხოვრებიდან, მართავს პარიზსა და პროვინციაში ლექციებ რუსეთის ცხოვრების სხვა-და-სხვა მოვლენა შესახებ. ლექციებს წაიკითხავენ ანატოლ ფრან სი გაზ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი მურ რომელიც ამას წინად რუსეთში გაგზავნა ზეთის რედაქციამ განსაკუთრებულ მინდობი ბით, ადგილობრივ გაეცნო განმათავისუფლებ დი მოძრაობა, რომელმაც მძლავრად იჩინა თა რუსეთის ხალხში.

გაზეთები გადმოგვცემენ შინაარსს საფრანგე თის მთავრობის კანონ-პროექტისას ეკკლესიი და სახელმწიფოს განცალკევების შესახებ. კანონ-პროექტით არც ერთ სამღვდელო პი და სამღვდელოების არც ერთ დაწესებულებას მიეცემა სახელმწიფოსაგან ფული ჯამაგირებ და სხვა-და-სხვა ხარჯებისათვის. საზოგადოებ არსად მთელ საფრანგეთში არც სასოფლო არც საქალაქო საზოგადოებანი აღარ გამოიღებენ ხარჯს სამღვდელობის შესანახად და ხელის გაწ მართავად. ღვთის მსახურება თავისუფალია და სჯულის მიმდევართათვის. მღვდლებს, რომ მელთაც 20—30 წელი დაჰყვეს სამსახურში ჯამაგირის ⅔ მიეცემათ პენსიად; ეს პენსი 1200 ფრანკს (500 მან.) არ უნდა აღემა ბოდეს წელიწადში. კანონის დამრღვევ მღვდლებ ორი წლის ვადით მოუსპობენ პენსიას. სა კლესიო შენობებში არ უნდა გამართოს კრებები, გარდა საეკკლესიოთა. კანონის ძალით ჯარიმა გადახდებათ ან დაპატიმრება მიესჯ იმ პირთ, რომელნიც აიძულებენ ვინმე სარ ლობა მიიღონ რომელიმე საეკკლესიო აქტში ქმედებაში) ან აიძულებენ, რომ ამ აქტში მონაწ ნი, რომელნიც მთავრობის საწინააღმდეგო წაქეზებენ ვისმე ან პოლიტიკურ ხასი აგიტაციას და პროპაგანდას გამართავენ, ტიმრებულ იქნებიან სამ თვიდან ორ წლა კანონის დამრღვევ სარწმუნოებრივ კავშ შეიძლება ჩამოერთვან ქონება. სამღვდელ კონგრეგაციების წინააღმდეგ გამოცემული ნები ძალაში დარჩება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. გერმანიაში გამოიცა რუ მცხოვრებთათვის ერთი ფრიად საგუ წიგნი, რომელშიაც მოთხრობილია, თუ გორ ეკიდებოდნენ ძველი დროის მთავრ ევროპაში სოფისტო საიდუმლოებას, რა ორგანიზაციები ჰქონდათ კერძო წერი გასახსნელად და წერილის შინაარსის შეს ბად. ეს წიგნი ნამდვილ ჩვენ მდგომარ წამოგვიყენებს თვალ-წინ. წიგნის აწერილია, რა და რანაირ საშუალებას ხ დნენ თვითმპყრობელ მთავრობათა მოხ წერილების გასახსნელად. რამდენ წერ ხსნიდნენ ერთ მათთვის სასურველი წ ხელში ჩასაგდებად. ავტორის წიგნის დ რია—აჩვენოს ხალხს, რომ საფოსტო ლოს დარღვევა ნამდვილ ბარბაროსულ მ ბის დამახასიათებელი წესია და ევროპის რიის იმ ბნელით მოცულ ხანას მოგვაგ როცა მთავრობა ხელ-მიუკარებლად ბრძან და განაგებდა ხალხის ბედ-იღბალს. მრავალი ცნობაა თითქოს რუსეთის დღ ცხოვრებიდან ამოღებული.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

25 იანვარს სამკურნალო საზოგადოების რამდენიმე ისეთი ექიმი დაესწრო, რომელნ მეტად კრებაზე არ გვინახავს, და ეხლაც, დათ, მხოლოდ მისთვის მოსულიყვნენ, რომ გაეშავებინათ და შავი გაეთეთრებინათ. 18 იანვრის სხდომის ოქმი, რომელშიაც ვებული იყო კრების დადგენილება შესახე რომ ექიმს ნ. გ. ქიქინაძეს, რომელიც მის რად მოშორებულია ამხანაგებს, გაეგზავნო გრძნობო წერილი. ოქმი შევსებულ იქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულს კრებაზე ნილ იქმნა აგრეთვე საზოგადოებამ გაუგზ თანაგრძნობო წერილი ექიმს მ. გ. ძნელ უსურვოს ავადმყოფობისაგან მალე განთავი

ოქმის დამტკიცების შემდეგ გ. ლ. ქორ აღძრა საკითხი ამიერ-კავკასიაში ერობის შესახებ. ამ საკითხის შესახებ 1901 წელ ა. ნაზაროვს წარუდგენია კრებისათვის თ ხსენება, რომელიც კრებას ერთხმად მ კიდეც აღუძრავს შუამდგომლობა მთავრ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სა მაგრამ შუამდგომლობა, როგორც სჩანს, რივ, „მაუდის ქვეშ“ ამოუდვიათ და იქ დ ეხლა ბ-ნმა ნაზაროვმა წაიკითხა დამატე სენება ამავე საგნის შესახებ, რომელ ერთხმად მიიღო და საჭიროდ სცნო ხსენე

ეროვნული

გომლობის განახლება. კამათი გამოიწვია მხოლოდ საკითხმა, თუ რა წესით ალიძრას შუამდგომობა. დ. ა. ნაზაროვი იმ აზრისა იყო, რომ თავარმართებლის საშუალებით აღძრულიყო შუამგომლობა; ექიმი გერრატი უმჯობესად სცნობდა, ომ კრებას ეხლაც კავკასიის სამკურნალო საზოგაების საშუალებისათვის მიემართა შუამდგომლოს ალსაძვრელად. გ. ლ. ქორქაშვილი კი უმჯოსად სცნობდა შუამდგომლობით პირდაპირ მიტრთა კომიტეტისთვის მიემართათ. ბ-ნ ქორქალის წინადადება არ მოეწონა ზოგიერთს „წესიებით მოყვარე“ მოხელე ექიმს, უთუოდ უფრო ისთვის, რომ შუამდგომლობა მათს პორტფელს ასცილებოდა, და ერთი ამბავი ასტეხეს, ბ-ნს რქაშვილს ნება არა აქვს მთავარმართებლის მოდებას კრიტიკულად შეეხოს და ეს არც ჩვენი ოგადოების კრების საქმეაო. ექიმი რელიგიონი ადადებას იძლევა, ჯერ შევეკითხოთ კავკასიის კურნალო საზოგადოების ბიუროს, რა მდგომაობაშია ჩვენ მიერ აღძრული შუამდგომლობა, შემდეგ, თუ ბიუროსაგან სასურველ პასუხს ვერ იღებთ, პირდაპირ მინისტრთა კომიტეტს მივმართ შუამდგომლობითო. კრება დაეთანხმა ბ-ნ რეგიონის წინადადებას, მხოლოდ დაავალა საზოოების მდივანს, რომ მან არ უცადოს ოქმის ტკიცებას და ეხლავე შეეკითხოს ბიუროს შუამმლობის მდგომარეობის შესახებ.

მდეგ ქალაქის სასანიტარო ექიმმა ი. ი. ჩარემა წაუკითხა კრებას თავისი მოხსენება ქალაქის მდებ სენიანთა საავადმყოფოს მდგომარეობის ხებ, რომელიც ერთს ჩემს წინა წერილში უკვე ანი მკითხველებს. მოხსენებამ საყურადღებო ი გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში სიფილისის მიმრეობის შესახებ. კრების უმეტესობამ ის აზრი ოსთქვა, რომ ჩვენში სიფილისი უფრო იოლად ებს კაცს ხელს, ვიდრე რუსეთში. ამის მიზეერთის მხრით დაასახელეს ქუთაისის გუბერნიის რებით თბილი ჰავა და მეორეს მხრით ის გაება, რომ ქუთაისის გუბერნიაში გახდება ვინმე თუ არა სიფილისით, მაშინვე ექიმებს მიმარრის გამო ავადმყოფობა არ უძნელდება და იად იკურნებაო.

ების დასასრულ უნდა მომხდარიყო საზოგას თავმჯდომარის არჩევა. აქ ზოგიერთმა კიძრა საკითხი იმის შესახებ, გარეშე პირთ იათ თუ არა ჩვენს კრებებს დაესწრონო. კამათის შემდეგ ამ ვაჟბატონებმა გაიმარდა თავმჯდომარემ ზრდილობიანად სთხოვა ე საზოგადოებას, ეხლა დასტოვეთ კრების ხი და შემდეგისათვის კი ვეცდებით, რომ ე ყველას შეეძლოს დასწრებაო. საზოგადოეაიშალა.

ორც გავიგეთ, საზოგადოების თავმჯდომარედ რგეენკოს ნაცვლად არჩეულ იქმნა დ. ა. ავი, რომელმაც მიიღო 11 თეთრი და ავი კენჭი; იმის ამხანაგად ერთხმად იქმნა ისევ ს. ი. ხერინოვი, მდივნად-კი ი. ტერტეროვი. კრებაზედ აღუძრავთ საშესახებ იმისა, დამნაშავეა თუ არა გ. ლ. ვილი ბ-ნ სერგეენკოს წინაშე (ვითომც ყოფა უნდა მიეყენებინოს. კრებას 9 ხმის ბით 3-ის წინააღმდეგ უდანაშაულოდ [illegible]

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

სეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 თებერვალი

რბურგი. უქვეშევრდომილესი ტელეენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მპერატორებით უდიდებულესობის ბაზე 3 თებერვლიდან: „მივიღეთ ცნობა, რომ მონგოლიაში გუნ-კუანჩენძის მიდამოებში რკინის გზებაცემად იაპონელთა წინამძღოლოიდძალი ბრბო ხუნხუზებისა მოოთ, მაშინათვე ფანცზიატუნის იდან 29 იანვარს გავგზავნეთ დად საზღვარის დარაჯთა რაზმი როტლენიცკის უფროსობით. 30 იანენიცკის აცნობეს, რომ ხანციატუოს ხიდს დაეცნენო. ლენიცკიმ ვე გზა გადუჭრა მტერს, იერიში და განდევნა. ლენიცკი თავის ფეხ-და-ფეხ მისდევდა გაქცეულ და ამ დროს გუნჯულინიდან სის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლენიცკი მტრის დიდ ძალას წააწყელიც შესდგებოდა ექვსის ესკაგან და ოთხ როტა იაპონელებისაგან -ზე მეტ ხუნხუზებისაგან. ყველა შემორტყულმა ჩვენმა რაზმმა ხელ ბრძოლით გაიკაფა უკან გზა და ინის სადგურისკენ დაიხია, სადაც ზმი 2 თებერვალს მივიდა.

კრამმა გენერალ-ლეიტენანტის სამთავარ შტაბში 5 თებერვლიდან: რდაჯმა მიიღო დაწვრილებითი გენერალ ჩიჩაგოვისა, ლენიცკის კან დახევის შესახებ. 1 თებერვლის შემდეგ ლენიცკის რაზმში მყომისტრმა ბოიარინოვმა ბრძანება შეაჩეროს მტრის წინ წაა მით შეეძლებინოს ჩვენს არტიკან დაბრუნება, მაგრამ სალამოს ზე 1 თებერვალს მტერმა გზა გასოფ. იანცზიტუნთან ლენიცკის მოსწყვიტა ბოიარინოვი. ბოიარაზმში ჰყავდა სულ 90 კაცი და ერტყა მტრის ექვსი ესკადრონი და თა ჯარი. როტმისტრმა ბოიარიანა თავის რაზმს ცხენებიდან ჩამოხკეითათ შეუტია მტერს და შეაჩერა ა წინსვლა, მაგრამ, როდესაც იაორის ესკადრონმა მის წინ გაეს, ბოიარინოვმა მაშინვე რაზმი დრა და 150 ნაბიჯის მანძილზე ცხენ-და-ცხენ იერიში მიიტანა მტრის მარცხენა წინა ესკადრონზე და სულ მთლად აჩეხა და თვალით აყურებინა მტრის მეორე ესკადრონს და მათ ნაშველად მოსულს ქვეითა ჯარს, რომელნიც არაფრით არ დაეხმარნენ თავიანთ ამხანაგებს და მხოლოდ „ურას“ და „ბანზაის“ იძახოდნენ. ამის შემდეგ ბოიარინოვმა უკან დაიხია 400 ნაბიჯის მანძილზე და რაზმის ერთი ნაწილი ისევ დაქვეითდა. რამდენჯერმე ერთბაშად თოფის სროლა ასტეხა და გზისკენ ნელ-ნელა უკან დაიხია. თან წამოიღო: მძიმედ მუცელში დაჭრილი შტაბ-როტმისტრი კალესნიკოვი, 24 დაჭრილი და 3 მოკლული ჯარის კაცი. ამ დროს მტერი მაინც სროლას არ წყვეტდა. რადგანაც რაზმში რამდენიმე კაცს ცხენი მოუკლეს და ქვეითად მოდიოდნენ, ამიტომაც ბოიარინოვმა დანარჩენებიც ჩამოსხა ცხენიდან და ქვეითათ დაიხია მძიმე ნაბიჯით. ამ დროს ჩვენი სალდათები იაპონელების ცხენებს იჭერდნენ, რომელნიც მათ გარშემო უმხედროთ დარბოდნენ. მტერმა ოცი ვერსი მეტი სდია ჩვენს რაზმს. როტმისტრი ბოიარინოვი თან მტერს ესროდა, თან უკან-უკან იხევდა და ამ გვარად სამ თებერვალს მოატანა სადგურს ფანცზიატუნს და თან მოიტანა გვამი კოლესნიკოვისა, რომელიც ჭრილობისაგან გზაში მოუკვდა, და ის 24 დაჭრილი და 3 მოკლული ჯარის კაცებიც მოიყვანა. ამ გვარად როტმისტრმა ბოიარინოვმა ნელის იერიშით და მამაცურ საქმით მთავარი ძალა მტრისა თავისაკენ მიიზიდა და ყველა მხრიდან შემორტყმულ მძლავრ მტერს შეებრძოლა და გზა ბრძოლით გაიკაფა და დაჭრილი და მოკლული ამხანაგებიც მტერს არ დაანება.

ყაზანი. ხელოსანთა საზოგადოებამ დეპეშა გაუგზავნა კუროპატკინს და სთხოვს აცნობოს რუსის ჯარს, რომ ჯერ არ გამოლეულან რუსის ქვეყანაში დიდებულ ხელმწიფის ჭეშმარიტი ქვეშევრდომნი და სამშობლოს ერთგულნი შვილნი, რომელთაც სულით და გულით უყვართ ომში მყოფნი თავის შვილები და ძმები, მხიარულობენ მათი მხიარულებით და იტანჯებიან მათის ტანჯვით. ხელოსანთა საზოგადოებამ კუროპატკინის პასუხი მიიღო, რომლითაც მადლობას უცხადებს.

ტოკიო, 4 თებერვალი. აქ საათში არაფერი გამოვა-რა შუამავლობით და ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკით, რადგანაც იაპონია უეჭველია არ გამოამჟღავნებს თავის [illegible] რომ რუსეთი საგანგებოდ რწმუნებულ შუა კაცის იმდენად დაუახლოვდება იაპონიას, მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოსთქვას იაპონიამ თავისი აზრი ზავის შესახებ.

ტოკიო, 5 თებერვალი, ოფიციალური. რუსები განაგრძობდნენ ზარბაზნების სროლას ხუთშაბათსა და პარასკევ ღამეს. სუსიანფანში დიდ-ძალი რუსის ცხენოსანი ჯარი დგას. ტაკუშანს ახლო რუსები სრულებით არა სჩანან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 თებერვალი

ოკუს არმია. (ფუზანით) („რეიტერი“). 4 თებერვალს რუსის ჯარმა, 15 ათასი ცხენოსნით, 500 ქვეითა და 20 ზარბაზნით ლიაოხეს გზით სამხრეთისკენ წამოსულმა, ახლა ხუთშაბათიდან დაიწყო უკან დახევა ჩრდილოეთისკენ. ახლა ეს ჯარი ლიაოხედან სამი მილის მანძილზე სდგას, შაოპეხეს დასავლეთ-ჩრდილოეთით. იაპონელები დაედევნენ უკან დახეულ რუსის ჯარს და ზარალიც მიაყენეს. ოკუს ფრონტზე სიწყნარეა.

ტოკიო. 5 თებერვალი („რეიტერი“). შახეზე რუსები ძრიელ მოქმედებენ, ორივე ფრთას შორს სწევენ, მარჯვენა ფრთას ამაგრებენ და ამავე დროს დიდძალ ჯარს აგროვებენ მარცხენა ფრთაზე კუროკის წინააღმდეგ, სადაც რუსის ჯარს უკვე ექვს დივიზიას სთვლიან.

შანხაი, 5 თებერვალი. ჩიფუში დაწყებული გამოძიება საფრანგეთის ატაშეს კუვირვილის მოკვლის შესახებ, რომელიც, როგორც ჩინელებმა განაცხადეს, ზღვაში გადააგდესო, ჯერ არ გათავებულა.

ტოკიო. 5 თებერვალი. 3 და 4 თებერვალს რუსები ესროდნენ ოიამას ზოგიერთა პოზიციებს ცენტრში და მარცხენა ფრთას. რუსის ცხენოსანი ჯარი ოიამაზე მიტანილ იერიშის შემდეგ ლიჩინვანთან გაჩერდა. (რეიტერი).

სახეტუნი, 5 თებერვალი. მარცხენა ფრთის განაპირა უფრო ხშირად ხდება იაპონელებთან შეტაკება. სოფელი გაოდიანზი ისევ იაპონელებმა აიღეს. ყინვა 10 გრადუსამდეა. იაპონელთა ცენტრში სადგურ შახესთან ძლიერ მუშაობენ. შენობებს ანგრევენ, ხოუტხაიზე ზარბაზნებს სდგამენ და ჩვენ პოზიციების წინ ჯარს ასწავლიან.

6 თებერვალი

ხუანშანი, 5 თებერვალი. ნაშუადღევის 1 საათი. 3 თებერვალს არმიის ფრონტზედ იყო იშვიათი თოფის სროლა. 30 იანვარს სოფელ ლიანხუეძისთან ერდაგოუს ახლოს ხუნხუზების ბრბო დაეცა საინტენდანტო რაზმს, რომელსაც შეადგენდა ექვსი კაცი. ასტყდა თოფის სროლა, რომლის შემდეგ ხუნხუზები გაიქცნენ. ორი [illegible] ტყვედ და [illegible] და მოკლულთა [illegible], ჩვენ დაგვეჭრა ერთი ჯარის კაცი და მოგვიკლეს თარჯიმანი.

ტოკიო, 5 თებერვალი. გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ის ხმა ვითომც იაპონიას შეატყობინეს არა ოფიციალურად ის პირობები, რა პირობებითაც რუსის მთავრობა თანახმაა ჩამოაგდოს ზავი, სიმართლეს მოკლებულია. („რეიტერი“).

სახეტუნი, 6 თებერვალი. 3 თებერვალს საღამოს 5 საათზე მტრის მოწინავე რაზმი მიუახლოვდა ჩვენს სადარაჯო ადგილებს, მაგრამ უკუ-ვაქციეთ. ჩვენ ვესროდით ლინშინპუსთან იმ ადგილს, სადაც მტერი თხრილებს აკეთებდა. იაპონელებმა წყლის საქაჩავს შახეს სადგურთან ანგრევენ.

სტამბოლი, 6 თებერვალი. გუშინ ღამის 11 საათზედ მოვიდა გემი „ნ. ნიკოლოოზ“, რომელმაც მოიყვანა სტესელი და პორტ-არტურელები. სტესელს მიეგებნენ რუსის ელჩის მაგიერ საელჩოს მოხელენი, საზღვაო და სამხედრო აგენტები. რუსის კოლონიამ ერთი კალათით ყვავილები მიართვა, ოფიცრები გემზე ყველანი ჯანმრთელათ არიან. დღეს სტესელი ელჩს ინახულებს და ხვალ ფეოდოსიისაკენ გაემგზავრება.

5 თებერვალი

პეტერბურგი, 4 თებერვალი. ახალ თეატრში არტისტის გორეის საბენეფისოდ „სტარო ბარინ“-ი დასდგეს. საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მიიღო.

ლონდონი. კაბინეტის მდგომარეობა მკვიდრი და უზრუნველყოფილია, თუმცა კი ახლანდელი მეტი ხმა ნახევარზე ნაკლებია წინად მიღებულ მეტს ხმაზე.

პსკოვი. დაიხურა მორიგი კრება საგუბერნიო საერობო საზოგადოებისა ხალხის ობსტრუქციის (წინააღმდეგობის) გამო. არჩევნები გადადო ახლო მომავალ საგანგებო კრებისათვის.

6 თებერვალი

პეტერბურგი. დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე ცარსკოე სელოში ალექსანდრეს სასახლეში ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლის და სამეფო გვარის წევრთა თანადასწრებით ხანაშვიდი იყო გადახდილი დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის სულის საოხად. მეორე ხანაშვიდი გადახდილი [illegible] სახელმწიფოს მაღალ ხარისხთან წარჩინებულ მოხელეთა, დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენელთა, გენერალთა, კარის მოხელეთა და მანდილოსანთა თანდასწრებით.

პარიზი. დღეს, გაიგო თუ არა დიდის მთავრის მოკვლის ამბავი, იმ წამსვე გაუგზავნა ტელეგრამები ხელმწიფე იმპერატორს და დიდ მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულს, მიუსამძიმრა და მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა.

ლონდონი. ერთმა ირლანდიელთა წინამძღოლთაგანმა ირლანდიელთაგანმა დევიტმა გამოაქვეყნა თავის ბაასი, რომელიც მას ჰქონია განსვენებულ დიდ მთავართან სერგეი ალექსანდრეს ძესთან ამ რამდენისამე კვირის წინად კრემლში. დევიტი ამბობს: „ამ ბაასიდან მე იმგვარი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ დიდ მთავარს თითონ არ ჰქონდა მკაცრობის და სასტიკობის უნარი და თანაც საინტერესოდ [illegible] მოსკოვის მუშათა სოციალურ პირობების გაუმჯობესება. ამ მკვლელობამ ჩაფუშა დიდი მთავრის მიერ მოწადინებული [illegible] საქმე და თანაც [illegible] გამოიწვევს. [illegible] დღის, მკვლელობა [illegible] უფრო ბრძოლებს.“

ლონდონი. უმაღლესი ოფიციალური წრეები სრულებით ეთანხმებიან „ტაიმ“-ის აზრს, ზნეობრივი განკიცხვა და ის ზიზღი, რომლითაც მთელი განათლებული კაცობრიობა უყურებს კაცის მკვლელობას, როგორიც არის დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მკვლელობა, არ შეიძლება გაამართლოს კაცმა რამე სხვა მოსაზრებით.

6 თებერვალი

პეტერბურგი, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა გამოეცხადოთ გაზეთებს „ნაშა დნი“-ს და „ნაშა ჟიზნ“-ს მესამე გაფრთხილება და შეჩერდეს ამათი გამოცემა სამი თვის ვადით.

უმაღლესად ებძანა გვარდიის პეტერბურგის სამხედრო ოლქისას, მათი უმაღლესობის დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების გამო იგლოვონ სამი თვე.

მოსკოვი, 5 თებერვალი. ჩუდოვის მონასტერში არქიელმა გადაიხადა ხანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედი თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდი მთავრები კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე და აგრეთვე მოსკოვის უმაღლესი მოხელენი მთავრობისა. გარდაცვლებულ დიდი მთავრის გვამი ხავერდებულია ოქროთი დაფერილ, მეხის კუბოში, კუბოს თავთან წ. სახერო ცოტათი ახდილია და დოლბანდის ქვეშიდამ მოჩანს მუნდირი. კუბოს სდგას კატაფალკზე ტრამპეულ მწვანე ხეებს შუა, გარს არტეიან სამეფო დარაჯნი, მიცვალებულის გულზე ასვენია ხატი, რომელსაც ხალხი ემთხვევა.

ბერლინი, 5 თებერვალი. იმპერატორი ვილჰელმი სადარბაზოდ იყო გრაფთან ოსტენ—საკენთან, სადაც 3/4 საათი დაჰყო.

სოფია. დიდის მთავრის მოკვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აფიცერთა შორის და ხალხში. მთავრის ბრძანებით, ბოლგარიის მთავარ ქალაქებში ხანაშვიდები იქნება გადახდილი. ყველა აღელვებულია ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ. ეს ბოროტ-მოქმედნი გაჭირვებაში აგდებენ რუსეთს, ხელს უშლიან იმის დიდ დანიშნულებას და ასუსტებენ რუსეთის გავლენას [illegible] სასახლეში 10 დღით იგლოვონ. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ჯარმა ექვსი დღე იგლოვოს. ბოლგარიის სინოდმა განკარგულება მოახდინა, დიდ ქალაქებში ხანაშვიდები გადაიხადონ.

პეტერბურგი. ღვთივ განსვენებულ დიდის მთავრის სულის მოსახსენებლად ხანაშვიდები გადაიხადეს ირბიტს, პეტროზავოდსკს, ოდესსას, რიაზანსა, ვლადიმირს, კრონშტადტს, განჯასა და ყაზანში.

ყაზანი. ორივე აქაური გაზეთი ხელ-ახლა გამოდის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეებმა, რიცხვით 325 ნოქარმა, არ მოისურვეს უკანონოდ მოქცევა და ამიტომ „ვოლჟ. ლისტ“-ის მეოხებით დაწესებულებათა პატრონებს თხოვნით მიჰმართეს, კვირა-უქმეებში ნუ ივაჭრებთ და შეამცირეთ სამუშაო საათებიო.

თეოდოსია. დღეს თათბირი ექნებათ ქალაქის საბჭოს ხმოსნებს. მოილაპარაკებენ იმის თაობაზე, როგორ უნდა მიეგებნენ და პატივი სცენ რუსეთში დაბრუნებულ პორტ-არტურელებს, გენერალ სტესელსა და სხვებს, თუ ვინიცობაა ისინი თეოდოსიაში მოვიდნენ. დღემდე არავითარი ოფიციალური ცნობა და განკარგულება არა ყოფილა.

მელიტოპოლი. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, ქალაქი თხოულობს დონეც-შავი ზღვის რკინის გზის გაყვანას მელიტოპოლზე და არა რეიხენფელდ-სკადოვსკზე, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში მელიტოპოლის სავაჭრო და ეკონომიური მნიშვნელობა სრულიად დაეცემა.

პარიზი, 5 თებერვალი. მთავრობა საფრანგეთის ელჩი სტამბოლში კონსტანი,—დღესვე მიანდო ბომპარს გადასცეს რუსის მთავრობას საფრანგეთის სახელით სამძიმარი და ღრმესი თანაგრძნობა.

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკუთ. კორ.). ლორდმა გლენბორომ წინადადება შეიტანა პარლამენტში, მზათ იყოლიონ ზღვისა და ხმელეთის ჯარი იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა უეცრად დაჰკვეს ერთი პირველ ხარისხის სახელმწიფო.

ვლადივოსტოკი, უკანასკნელ ხანებში ცეცხლი ხშირად ეკიდება სახლებს. მხედრობა კარგად მუშაობს და შესანიშნავად არის მოწყობილი.

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკ. კორ.) მტკიცდება ის ხმა, რომ ლორდს მილნერს ჩქარა გამოსცვლის ლორდი ბალფური სამხრეთ აფრიკაში.

ამაში ხედავენ უმაღლესის თანხმობას ოპოზიციის გულის მოსაგებად“

უმაღლესმა ბძანებამ აქ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა გაზეთები თავის დასკვნას უძღვნიან, მეტი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ვერავითარი ბოროტ-მოქმედებანი ვერ შეაჩერებენ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ განზრახულ ცვლილებათა შემოღებას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. საზოგადოების მტერნი აღელვებულნი არიან ხალხის ლტოლვილებით, რომელსაც სურს სამეფო ტახტს დაუახლოვდეს.

შესდგა მიტინგი [illegible] და გამოთქმულ იქნა გახურებული ენტუზიაზმი იმპერიალიზმისა, გერცოგმა ფიფემ გამოსთქვა ინგლისელთა სურვილი, რომ ინგლისელები ეხლა მოქალაქენი არიან პატარა კუნძულისა კი არა, არამედ უზარმაზარ მსოფლიო იმპერიისა, რომლის მსგავსი არ გაგონილა. იმპერია უნდა იყოს [illegible] ჭირობით და მტრის საპასუხოდ მომზადებული.

პარიზი. დიდის მთავრის დაკრძალვის დღეს რუსის ეკკლესიაში წირვა და ხანაშვიდი იქნება, რომელზედაც დაესწრება ლუბე, ყველა მინისტრები და დიპლომატიური კორპუსი. დიდი ჰერცოგინა საქსენ-კობურგ-გოტისა პრინცესა ბეატრისით ლონდონიდან მოსკოვს გაემგზავრა. დიდი მთავრის მკვლელობამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვატიკანზე. პაპმა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს დიდი ტელეგრამა, რომელშიაც აცხადებს თავის ღრმა მწუხარებას. ბევრმა კარდინალმა დასტოვა სადარბაზო ბარათი ვატიკანის რუსის საელჩოში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 თებერვალი	1905 წ.
ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,20
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90—85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5¼-6¾ 4°/₀
4⁰/₀ სახელმწიფო რენტა	90⅞
4⁰/₀-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½⁰/₀ შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4⁰/₀ გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87
5⁰/₀ 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	396
5⁰/₀ მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	329½
5⁰/₀ გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	273
5⁰/₀ ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½⁰/₀ ობლ. იმავე საზოგად.	—
5⁰/₀-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5⁰/₀ გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½⁰/₀ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6⁰/₀ გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5⁰/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	232

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-[illegible] 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ცერჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დღის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. ოფას უ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.